ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01173282851**

თარიღი: **24.11.2017**

ადრესატი:
შპს ევრო ბლოკი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404400153
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, რ.თაბუკაშვილის ქ., №47

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N10/01172261362-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

-10/0117226 1362 -17

"17" 11 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ბაგების სატყეო უბანი, იმედაძსი ჭუჩა, ნაკვ. 1/84 და 7/103-ის მიმდებარედ/ქ. თბილისი, ბაგები სატყეო უბანში (საკ. კოდი №01.14.08.001.126) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3366850 07.07.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ბაგების სატყეო უბანი, იმედაძსი ჭუჩა, ნაკვ. 1/84 და 7/103-ის მიმდებარედ/ქ. თბილისი, ბაგები სატყეო უბანში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე დამატებით მოწყობილია წყლის შემკრები და საკომუნიკაციო მილები, ასევე მცირე ზომის ხვრელები. ლითონის კარებისა და ლითონის მოაჯირების ნაწილი შესაღებია. ნაწილობრივ გაუქმებულია კაპიტალურ მოაჯირებზე ლითონის სახელურები. "ა-ა" და "დ-დ" ღერძებს გარეთ დასასრულებელია ეზოების კეთილმოწყობა, ეზოში დასასრულებელია კაპიტალური და ლითონის ღობეების მოწყობა, გასატანია სამშენებლო ნაგავი. "დ-დ" ღერძის გარეთ ნაწილობრივ შეცვლილია ეზოს ფილების მოწყობა, რომელთა ნაწილი მოსაპირკეთებელია, ასევე გაზრდილია კაპიტალური ღობეების გაბარიტი. ნაწილობრივ კოლონებს მონაცვლებული აქვთ ადგილები. ნაწილობრივ შეცვლილია კიბეების მოწყობა.

ფასადი "1-9": "3-4" და "7-8" მონაკვეთებში ვიტრაჟის თავზე გაუქმებულია ლითონის კვადრატული დეკორატიული მილები. +0.00 ნიშნულის ქვეშ შეცვლილია კედლების სიმაღლეები. შეცვლილია ლითონის კარების ნახატები. ნაწილობრივ ავტოფარეხის კარებს მონაცვლებული აქვს ადგილები. "2-3" მონაკვეთში აივანზე დამატებით მოწყობილია გამათბობლის ქვაბი.

ფასადი "9-1": ფასადის მცირე ნაწილები შესაღებია. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების ღებვის ფერები. "2-1" მოაკვეთში +0.00 ნიშნულზე კარის ძირი შესავსებია. სახურავებზე ნაწილობრივ შეცვლილია კარების რაოდენობა და მდებარეობა.

ფასადი "დ-ა": "ა-ა" ღერძის გარეთ შეცვლილია კედლის ფორმა, კერძოდ +4.04 ნიშნულზე აივანზე გაუქმებულია კედელი. შეცვლილია ფასადის ღებვის ფერი. დამატებით მოწყობილია მცირე ზომის ხვრელები, გამათბობლის დანადგარი და კარადა.

I სართულის გეგმა: "ა-ა" ღერძის გარეთ შეცვლილია დაბალი კედლების გაბარიტები, ნაწილობრივ დასასრულებელია მათი მოპირკეთება. იგივე ღერძის გარეთ ნაწილობრივ კედლებს მონაცვლებული აქვთ ადგილები. "დ-დ" ღერძის გარეთ ფასადის კედლებზე ვიტრაჟების ნაცვლად ნაწილობრივ მოწყობილია კარები. "8-9" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კოლონა. "დ-დ" ღერძის გარეთ ავტოფარეხის კედლების ნაწილს მონაცვლებული აქვთ ადგილი "დ-დ" ღერძის გარეთ, რის ხარჯზეც გაზრდილია ავტოფარეხის ფართი. ავტოფარეხის კარებთან დამატებით მოწყობილია წყალმიმღები ცხაურები.

II სართულის გეგმა: შეცვლილია სართულშუა გადახურვის ფილისა და ფილის ღიობების ფორმები, რის ხარჯზეც გაზრდილია სართულშუა გადახურვის ფილის გაბარიტები და ფართი. "4-5" მონაკვეთში "დ-დ" ღერძის გარეთ ფასადების კედლებზე ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია კარი.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

III სართულის გეგმა: "დ-დ" ღერძის გარეთ აივნებზე ვიტრაჟების ნაცვლად ნაწილობრივ მოწყობილია კარები, ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟებისა და კარების გაბარიტები და მდებარეობა. "დ-დ" ღერძის გარეთ შეცვლილია აივნების გაბარიტები. "3-4" და "7-8" მონაკვეთში "ა-ა" ღერძის გარეთ შეცვლილია სადარბაზოში სართულშუა გამყოფი ფილის ღიობის გაბარიტი.

სახურავის გეგმა: "ბ-ბ" და "ა-ა" ღერძებთან ნაწილობრივ გაუქმებულია პარაპეტები. "2-2" ღერძზე "დ-დ" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია კედელი. "1-2" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია დაბალი კედლები. "8-9" მონაკვეთში კარების ძირი შესავსებია. შეცვლილია საპროექტო საკომუნიკაციო შახტების მოწყობა, დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო შახტები, რომელთა ნაწილი შესაღებია.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ევრო ბლოკი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ბაგების სატყეო უბანი, იმედაძსი ქუჩა, ნაკვ. 1/84 და 7/103-ის მიმდებარედ/ქ. თბილისი, ბაგები სატყეო უბანში (საკ. კოდი №01.14.08.001.126) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №10/01172261362-17 14.08.2017წ. განცხადება.
№წ-10/01172261362-17 15.08.2017წ. ბრძანება.
№10/01172331923-17 21.08.2017წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე